

სოფიაპოლი



გაზეთის ფასი

ერთის წლით 6 მან., ნახევრის წლით 4 მან., თითო ნომერი 1 მან. ფასი გადამდებელსა ჩულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კ. მეოთხეზე 4 კაპ.

Типография и Редакция „ЦНОБИСЬ ПУРЦЕЛИ“ Тифлиси, Дворцовая д. Дворянства Телефонъ № 363.

სტამბა და რედაქცია:

ფელიქსი, სასახლის ქუჩა, სათაველ-აგნაშორე პარკისა.

ელის-მომწერნ ვახუთის დასაკეთად მიპართვენ უდაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და ღამის 6-7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.

ელ-მომწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

ბირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.

ტელეფონი № 363.

ყოველ -ღლიური სახალხო გამოცემა

საქველ-მოქველო ბაზარი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულია 24 და 25 მაისს თავდა-სწაურობის (არწმუნისეული) ქარვასლის ბაღში. პარობა დაიწვება დილის 10 საათზე და გათავდება საღამოს 10 საათ. ვაჭრობის დროს დაუკრავს მუსიკა. ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირს 20 კაპ.

მოსამსახურეთა საყურადღებოდ

„თბილისის მოსამსახურეთა დაძმარებული საზოგადოებას“ კამი ია სთხოვს უმორჩილესად ყველას, მობრძანდენ და დაესწრენ ამ საზოგადოების ახლად შემუშავებული წესდების განხილვას პარასკევს, 22 მაისს, საღამოს 7 საათზედ „პურ-ღვინოში“, (გოლოვინსკზე. მუხ-თან-ბატონის სახლებში) სადაც დანიშნულია პირველი საზოგადო კრება. წესდების პრაქტიკის შემუშავებულ კამისისა.

„ბავშვების მოკეთის“ შესახებ.

აუარებელი გამამხნეველი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და მარჯვედ ყიდვა ამ წიგნისა მიძღულებენ მეორე გამოცემა დაიწყო და ესთხოვ ყველას, ვისაც-კი გული ერჯის სამშობლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის, მომართონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. ყვე-

ლა შენიშვნას სულითა და გულით მივეცებები. მიწერ-მოწერა შეიძლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-ანაურო სკოლაში, ან „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში. წაგნა „ბავშვების მოკეთ“ მაწიანებულია და სახელმძღვანელოთ დადებულია მთავრების მიერ. ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში. სოფლის მასწავლებლებს იათად დაეთობათ, ე. ი. უყდო 20 კაპ., ყდიანი 25 კაპ., თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ. ადრესი: Тифлиси. Типография Хеладзе, для передачи учителю Наталзе. (50-12) პატივისცემით ალ. ხათაძე.



გოგირდის მალნული

მარნელიდან [საფრანგეთშია] ვენახების და ვახუთის საწამლადად მანენ მწერებისაგან. ვგ გოგირდი ბეგრად უგეთისა და ვახსად უგედ ანჩენს, ვიდრე წმინდა გოგირდი და თან ბეგრად ააფაა—მართი ფუთი ღირს 90 კაპ. მოიკითხეთ ტფილისში, კირონი ქუჩაზე № 27, ალექსანდრე ნეველის ეკლესიის პირდაპირ კუკიაში ი. პ. ციციკოვსკისთან დილის 9 საათიდან 11 საათამდე. (3-1)

გამოვიდა სემსწვილო წიგნი პატარა ლორდი

„ჯეჯილის“ რედაქციის გამოცემა თარგ. ელ. წერეთლისა ფასი 30 კაპ. იუილება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში. (10-9)

გამოვიდა და ისეილება წიგნი გლენი-კაცის ისტორია

ერკმან-შაქრიანიისა თარგმანი იმ. მაჰაზარიანისა ნაწილი პირველი: საგრა კრება. ნაწილი მეორე: სამშობლოს განსაცდელი. ფასი თითო ნაწილისა სამი აბაზი. კარგს ქალაღზე ხუთმეტი შაური. აქვე ისეილება ა. მაჭავანძლის თარგმანება ბრძალები, 3 მოკმ. ღრამა პოლ ერვისი. ფასა 30 კ. ივლითი. ტრავედ. 5 მოკმ. ჯიაკომეტისა, ფასა 30 კ. ვანც ფას-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, მანეთზე 30 კაპ. დაეთობას. (30-21)



სამკურნალო და ამშულაცორია ს.ბ. თოფურიასი

ქუთაისში. სამკურნალოში 50 საწოლია ავად-მყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვებისა, საქარუ-გო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისა. გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან: ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავად-მყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურიასი. საქარუგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. პ. შარაბი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი. 20 მაისიდან— დედათა ავადმყოფობის და აკუსერობის D-რ ჟ. ბა-ცაჟი. თვალების ავადმყოფობას—ი. პ. შარაბისი. ამშულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის. სამკურნალო ღირვეტორი ს. ბ. თოფურიასი. Львовица С. В. Топурия въ Кутаиси. გამოვიდა და ისეილება ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკლესიებშიაც ცხლავრება წმინდის დიანის მოწამისა მესტატისა და სახლეულთა მისთა (სურათით) გამოცემა მორჩილის რ. ბარამიძისა ფასი მართი ფაური (10-9)

იაკონათის საუცხოვო ნივთები

ეს არის ეხლა მივიღეთ სხვა-და-სხვა ფაგანება (ეტაჟერკები) მოხატული და მოვარაყებული მრავალი ხუთები, ლარნაჟები (ვაზა), მაკანები, მაკარაჟები, ფარნები, ხონები, ხაზარაჟები, საფარფლე, ფარდები ხელაჟი, მოხუქურთმებული ძეგლები

„აღმოსავლეთის მაღაზია“ იოსებ მერკვილაძესთან

ლორის-მელიქოვის ქ., ზუბალოვის სახ. № 4, სემინარიის პირდაპირ. „Восточный магазинъ“ А. Мерквиладзе Прошу уьдится въ изяществъ Японскихъ вещей Лорисъ-Меликовская ул. № 4. (30-26)

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 27 მაისს მელიქონ ბალანჩიეაჟე გამართავს კონცერტს აღსრულებულ იქნება სხვა-და-სხვა ახალი სიმღერები და რომანსები ბ-ნ ბალანჩიეაჟის მიერ შედგენილი. სხვათა შორას შესრულებენ ერთს სცენას აბურას მესამე მოქმედებადნ

თამარ ცვიმერი

და ჰამნა სამშობლო სეკსურისა მუსიკა მ. ბალანჩიეაჟისა მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი სარაჯიშვილისა, ბ-ნი კარგარეთელი, ქალთა და ვაჟთა ხორო. ხორო და ორკესტრი მ. ბაღანჩიეაჟის ლოტბარობით. ადგალებას ფასა ჩვეულებრავას დასაწყისი 8 1/2 საათზე

ბენისპრ და დაფასება

ტეიან მამულებისა სამკურნეო შემოსავლისა მამულის გემის შედგენას და სს. კისრულობს ალექსი გრიგოლის ძე სნეჟკოვი, ლაბორატორიის ქუჩა № 26. ტელეფონი № 567. Алексѣй Григоріевичъ СНѢЖКОВЪ, Лабораторная, № 26. (50-21)

ეპივი

ე. მ. ჩიქოვანი ავადმყოფებს იღებს ყოველდღე დი-ღის 11-12-მდე და საღამოს 7-8 საათ. მიხილის ქუჩა, № 16. Докторъ К. М. Чиковани Михайлов., № 16.

ახალი ამბავი

† ვუან ჯაფარაჟე. შემდეგს ფრი-ად სამწუხარო ამბავს სწერენ ვახ. „ნოვ. ობოზ. ქ. ქუთაისიდან. 17 მაისს ქუთაისში დაასაფლავეს უდ-როოდ გარდაცვალებული ვერა ილარიონის ასული ჯაფარიძე. ამ წყნარმა, მაგრამ სახარებლო და ყოველი კარგი საქმისათვის თავ გამოდებულმა მუშაკმა მანდილო-სანმა თავისი ხან-მოკლე პედაგო-გიური მოღვაწეობით სრული გულ-წრფელი სიმპატია და ღრმა პატი-ვისცემა დაიმსახურა ადგილობრი-ვი საზოგადოებისაგან, როგორც ფრიად გულმოდგინე და თვისი სა-ემისათვის თავდადებულმა მასწავ-ლებელმა. ხორციელად სუსტი, მა-გრამ სულით ძლიერი ვერა იყო არა მარტო თვისი მოხუც დედისა და ორი სტუდენტი ძმის ბურჯი, არამედ შოულობდა დროს იმის-თვისაც, რომ იშვიათი გულ-მხუ-

რვალებით და თან უსასყიდლოთ
ემუშაინა საზოგადოდ მოძმეთა სა-
სარგებლოდ. განსვენებული იყო
ადგილობრივი სკოლის ერთი და-
მარსებელ ქალთაგანი, რომელ
სკოლაშიაც იგი მასწავლებლობდა
მანამ, სანამ მიიმე განუკურნებელ-
მა სენმა მიტლად არ მოულო ბო-
ლო მის ჯანსაღობას. თუშკაც ვე-
რა კარგა ხანია გრძნობდა სიკვდი-
ლის მოახლოვებას, მაგრამ მაინც
კიდევ თავს არ ანებებდა მუშაო-
ბას, რამდენადაც კი შეეძლო.

მისმა სიკვდილმა ღრმად დააღო-
ნა ყველა, ვინც-კი ცოტათი მაინც
იცნობს ამ ნათელსა და სიმპატიურ
პიროვნებას. მის საფლავზე წარ-
მოთქმულ იქნა რამდენიმე სიტყ-
ვა. სხვათა შორის ღრმა გრძნო-
ბით სავსე სიტყვა წარმოსთქვა დე-
კანოზმა მ. გ. ცაგარეიშვილმა, რო-
მელმაც ნათლად დაუხატა მსმე-
ნელთ სიმპატიური სახე წყნარი
მოღვაწე ქალისა, რომელიც სამი-
გლითო თავადებით და უყვედ-
რებლად ატარებდა თავის ჯვარს.

თუ ყველა ზემოდ ჩამოთვლილ
ღირსებასთან ერთად გავიხსენებთ,
რომ ვერა ჯაფარიძის ქალი იყო
შესამჩნევი ნიჭისა და ჩვენი ქალე-
ბისათვის იშვიათი განვითარების
პატრონი, მაშინ კიდევ უფრო
ცხადი შეიქნება, თუ რა განძი და-
პარგა ჩვენმა ქვეყანამ ვერას გა-
რდაცვალებით. საუკუნოდ იყოს
ხსენება შენი, სასიქადულო ქა-
ლო.

*** * * გზათა მანასტრის თავ. მ.
ა. ხალვაჯის მამბრძანება ქ. ტფა-
ლისში. 19 მაისს, დღის 8 1/2 სა-
ათზე, მობრძანდა ტფილისში გზა-
თა მინისტრი თავ. მ. ი. ხილკო-
ვი. მინისტრს აუარებელი ხალხი
დაუხვდა რკინის გზის სადგურზე.
მას მიეგებნენ: ტფილისის გუბერ-
ნატორი დ. ს. ს. თ. ა. ბიკოვი,
ტფილისის პოლიცემისტერი დ. ს.
ს. ლ. პ. მასტიციკი, კავკასიის გზა-
თა უწყების მოხელენი ინჟინერის
დ. ს. ს. ტულოვსკის მეთაურო-
ბით, კავკასიის რკინის გზის ინ-
ჟინერი და უმაღლესი მოსამსახუ-
რე პირნი, კავკასიის რკინის გზის
უფროსის თანამშემწის ინჟინერის
ლ. გ. ფედოროვსკის მეთაურო-
ბით, ყარსის რკინის გზაზე მომუ-
შავე ინჟინერები, მუშაობის უფ-
როსის ინჟინერის ე. დ. ვურცე-
ლის მეთაურობით და სხ. როცა
მინისტრის ვაგონი დაუპირდაპირ-
და ამ პირთ, მინისტრი იდგა ვა-
გონის ბაქანზე და მასთან ერთად
იყვნენ: კავალერიის გენერალი ი.
გ. ამილახვარი, რომელიც მას ვა-
გონის სადგურიდან გამოჰყვა, კავკა-
სიის გზათა უწყების ოლქის უფ-
როსი დ. ს. ს. ნ. ვ. ფლორინი,
ამიერ კავკასიის რკინის გზის ინ-
ჟინერი ე. ლ. ვედენგევი და სხ. მი-
ნისტრი ჩამოვიდა ვაგონიდან და
მიესალმა გუბერნატორს თ. ა. ბი-
კოვს, რომელსაც რამდენსამე ხანს
ესაუბრა, შემდეგ ნათესაურად მი-
ესალმა თავ. ნ. დ. ქავკაძეს,
მიიღო პოლიცემისტრისაგან სალა-
ში და შემდეგ მიუახლოვდა გზათა
უწყების ოლქის მოხელეთ და ინ-
ჟინერებს, რომელთაც სათითაოდ
ხელი ჩამოართვა. ამ დროს რამ-
დენსამე ადგილობრივ ტანისამოს-
ში ჩაცმულმა პირმა მინისტრს**

თხოვნები მიართვა. მინისტრმა მი-
იღო თხოვნები. გამომშვიდობა
დამსწრეთ, შებრძანდა სადღესას-
წალო ოთახში და შემდეგ ეტ-
ლით გაემგზავრა მისთვის გამზად-
ბულ ბინაზე „ლონდონის“ სასტუ-
პროში.

ბ. მინისტრის გამგზავრება ბა-
ქაში და შემდეგ იმიერ კასპიის
ოლქში განზრახულია ერთისა ანუ
ორი დღის შემდეგ.

სანამ მინისტრი გემით ბათუმში
მივიდოდა, ფოთში შეუხვია.

*** * * შთავარ-მართულებას გამოემგ-
ზავნება. როგორც იმის, კავკა-
სიის შთავარ-მართულები თავ. გ.
ს. გოლიცინი, თვისი კანცელა-
რიის დირექტორის — ტ. ს. ი. ვ.
მიცევიჩის და სხვა პირთა თან-
ხლებით, გამომგზავრება პეტერ-
ბურგიდან 23 მაისს.**

*** * * ქართველისაგან გამოგონალი
მანქანა. პეტერბურგიდან ატყობი-
ნებენ ვაზ. „ივერიას“ დებეშით,
მეცნიერთა, მკოდნე კაცთა და
პარიეტიდან კრებოს ფრანკის მიერ
გამოგზავნილ ინჟინერის თანადას-
წრებით გუშინ გამოცდილ იქნა
ალექსანდრე ივანეს ძის ჯავახიშ-
ვილის მიერ გამოგონილი მანქა-
ნა, რომლის წყალობით რამდენა-
დმდე იადდება ელექტრონის სი-
ნათლვე. დამსწრენი გაოცებულნი
დარჩნენ მანქანის სიმარტივით და
ყველამ ერთხმად გადასწყვიტეს,
რომ მანქანა დიდად გამოსადგეიო.**

*** * * ფოთის ნავი-სადგურის საქ-
მე. ვაზ. „კავკასს“ ატყობინებენ:
18 მაისს გზათა უწყების მინისტ-
რმა მ. ი. ხილკოვმა ინახულა ფო-
თის პორტი. მინისტრმა დაწვრი-
ლებით გაიკნო საპორტო მუშაო-
ბა, მოიწონა ქალაქის გამგეობის
მიერ განზრახული ქვის სანაპირო
კედელი, რკინის კედლის ნაცე-
ლად, საქიროსა საქაროდ იქმნეს
გადაკეთებული შესავალი და უბ-
რძანა გაწვეულ იქმნეს ამიერ-კავ-
კასიის რკინის გზის ლიანდაგი
პორტის აშენების საქიროების თა-
ნახმად.**

*** * * წარგა მამა დაგათობის დღეს.
22 მაისს, მამა-დავით ბის დღეს,
მ. დავითის ეკლესიაში მწირველი
იქნება საქართველოს ექსარხოსი
ფლამბიანე.**

*** * * ტ. ს. ვრასკას, ტფილისის
სამოსამართლო პალატის უფრო-
სი თავმჯდომარეს მოვლიან ტფი-
ლისში პეტერბურგიდან 25 მაისს.**

*** * * მოუსავლობათ დაზარადე-
ბულ სოფლებსა საება. კავკასიის
სამეურნეო საზოგადოების საბჭომ
წარუდგინა შთავარ-მართებლის თა-
ნამდებობის აღმასრულებელს, გენ-
ად. ა. ა. ფრეხეს მოუსავლობით
დაზარალებულ სოფლების სიები.**

*** * * სიარდის ბეჭდვა. ქალაქის
სამჭირო საავადმყოფო დაუგენი-
ლებანი ხორცის ბეჭდვის შესახებ
მოქმედებაში შევა 1-ლი ივნისიდან.
ამ დღიდან არა მარტო სასაკლა-
ოზე დახოცულ საქონლის ხორცი,
არამედ სოფლებიდან შემოტანი-
ლი ხორციც უნდა დაიბეჭდოს
ხოლმე ქალაქის გამგეობის ბეჭ-
დით.**

*** * * ქარას და სეტყვით დაზა-
რალება. როგორც ვაზ. „კავკასს“
აუწყებენ, სიღნაღის მაზრაში ძლი-
ერი ქარებისა და სეტყვისაგან ს.
კაკაბეთის მცხოვრებთ მისცემიათ
2,000 მანეთის ზარალი, საქობის
მცხოვრებთ — 7,000 მანეთისა, მა-
შნაარისას — 6,000 მან., ვაქირი-
სას 7,000 მ. ანაგისას — 5000 მ.
და ქ. სიღნაღის მკვიდრთ 3000
მანეთამდე.**

*** * * ნავთის ვაჭრობა. სამეურნეო
მეცნიერების კანდიდატმა, ს. ზ.
მირზოევმა წარუდგინა ქალაქის
გამგეობას განცხადება, რომელ-
შიაც დაწვრილებით არის განმარ-
ტული ტფილისში ნავთის და მა-
ზუთის ვაჭრობის მდგომარეობა და
აღნიშნულია, რომ ეს ვაჭრობა
ხელში აქვთ ჩადებული 4 — 5 ვა-
ქარს, რომლებიც ხელოვნურად
უმატებენ ფასს ამ ნაწარმოებს,
რომელსაც მკვიდრნი წლიურად
700,000 მანეთისას შეტს ხმარო-
ბენ, და სთხოვს გამგეობას წარუ-
დგინოს საბჭოს კითხვა ნავთისა
და მაზუთის ვაჭრობის სოსაწეს-
რიგებლად მისადები ზომების შე-
სახებ.**

*** * * ახალა ხორას გამო. ბ-ნო
რედაქტორო! გთხოვთ ამ ჩემს წე-
რილს თქვენს გაზეთში ადგილი
მისცეთ: თქვენსავე ვაზ. „ცნობის
ფურცელში“ წავიკითხე როინაშ-
ვილის დასაფლავების წეს-რიგი.
იქ სხვათა შორის მოხსენებულნი
იყვნენ შემდეგი პირთა დასები,
რომლებიც წირვაზე გალობდნენ:
მონაღირეშვილისა, მოლოდინაშ-
ვილისა და ქართულ გალობის მოყ-
ვარულთა. ამ უკანასკნელ მაგლო-
ბელთა დასად მივიღე იმ ქალები-
სა და ვაჭებისაგან შემდგარი დასი,
რომელსაც ხელმძღვანელობდა ბ.
ნიკო ბერიშვილი. რადგანაც ამ
მაგლობელთა დასზე გაზეთებში
ლაპარაკი არა ყოფილა და თქვენც
იმ დღეს მხოლოდ გავრითა გქონ-
დათ მოხსენებული ამის შესახებ,
ამიტომ ერთი ორი სიტყვის წარ-
მოთქმა ამ მაგლობელთა დასზე მე-
ტად არ მიმაჩნია. ეს დასი შემდ-
გარია როგორც ზემოდ მოგახსენ-
ეთ, ქალებისაგან და ვაჭებისაგან,
პირველსა და მეორე ხმას ამბობენ
ქალები, პირველსა და მეორე ხმას
ვაჭები, კარბელანთ კილოზე. გა-
ლობს ეს დასი ბ. ნიკო ბერიშვი-
ლის ლოტბარობითვე ყოველ კვი-
რა უქმე დღეებში, წირვა-ლოცვა-
ზე წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში
(ჩუღურეთში) და თავისი ლმობიე-
რი და მწყობრი გალობით კარგს
შთაბეჭდილებას ახდენს აუარებელ
მლოცველზე, რომელიც სიამოვნე-
ბით იკრიბება ამ გალობის მო-
სახმენად. ამ დასის გალობამ კარ-
გათ იმოქმედა საქართველოს ეგ-
ზარხოს ფლამბიანეზე, მცხეთაში,
სადაც გაიწვია ქართველმა ინტე-
ლიგენტებმა თავისი მხრივ, რომ მის
ყოვლად უსამღვდელოებისათვის
გაეცნობინებინა ქართული გალო-
ბა. მართლაც მშვენიერად შეას-
რულა დასმა უფალო შეგვიწყალე
(სამ გზით) და მრავალ-ჟამიერი
მონასტრული. 4 მაისს თვით წმ.
ნიკოლოზის ტაძრის დღეობაზე
მწირველი ბრძანდებოდა მისი მა-
ღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა**

საქართველოს ეგზარხოსი ფლამბი-
ანე და მაშინაც არა ნაკლებ პირ-
ველზე დარჩა ნასიამოვნები მის გა-
ლობით და როგორც გავიგეთ ვბრ-
ძანებინა კიდევ სიონის ტაძრის
კანდელაკისათვის მ. ანტონ თო-
თბაძისათვის, რომ გადაეცით იმ
დასის ლოტბარსაო რომ საგლობ-
ლები, რომელნიც საქიროსა არქიე-
ლის შემოსვლისა და შემოსვის
დროსაო ყველა ეს შეასწავლოსო
და სადაც კი მომიხდეს მაგათთან
წირვის შესრულება ეგ საგლობ-
ლები მაგათა სთქვან ხოლმე ქარ-
თულადაო. მაშასადამე როგორცა,
სხანს სრულიად ღირსნი ყოფილან
როგორც მაგლობლები ისე მათი
ხელმძღვანელი ბ. ნიკო ბერიშვი-
ლი იმ ყურადღებისა და მაღლო-
ბისა, რომელსაც უცხადებს ყველა-
ის, ვისაც მოუსმენია მათი გალო-
ბა არა ნაკლებ მაღლობის ღირსი
ბრძანდება მამა ბლაღოჩინი სო-
ლომონ შოშიაშვილიც, რომელიც
შედლებისა და გვარად ხელს უწყ-
ობს ამ დასის გალობის საქმეს და
მამაშვილური დარიგებით ამხნევეს
მაგლობელ ქალებს და უთვალის-
წინებს ყველა იმ საქირო მოვა-
ლეობას, რომელსაც ავალებს დედა
ეკლესია ყველას და რომელიც
თავის მხრივ სულიერად ზრდის
ყველა მათგანს. მაშ ვისურვოთ,
რომ ეს დასი სხვა მაგლობელთა
დასების მსგავსად არ გამოდგარი-
ყოს დროებით დასათ ან სულ არ
დაშლილიყოს არამედ ყოფილიყოს
მუდმივი დამამშვენებელი იმ წმ.
ნიკოლოზის ტაძრისა, სადაც წირ-
ვა-ლოცვა მუდამ ქართულადა
სრულდება და სადაც ამიტომ თავს
იყრის ხოლმე მომეტებული ნაწი-
ლი ქართველობისა.

მუდმივი მეთვალყურე
*** * * ფოთი. ევაგლად-უსამღვდე-
ლესის აღქმანდრე ეპისკოპოსის
ჩამობრძანება. დღეს დღით (19
მაისს) ჩამობრძანდა ფოთში ახლად
დანიშნული გურია-სამეგრელოს
ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო
ალექსანდრე რკინის გზის სადგურ-
ზედ დიდძალი ხალხი დახვდა, მთე-
ლი საბჭო, ქალაქის გამგეობა და
სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარ-
მომადგენლნი. ეკლესიაში ყო-
ვლად სამღვდელოს უტყვიდა შემო-
სილი სამღვდელოება. მცირე ლოც-
ვის შემდეგ ყოვლად-სამღვდელო
გრძნობიერი სიტყვით მიმართა სა-
ზოგადოებას.**
**† — გ. ჭავჭავაძის ჩამოსვენე-
ბა. ხუთშაბათს 21 მაისს მოსვენე-
ნებენ ფოთში ქ. მინსკში გარდაც-
ვალელების თავ. გიორგი მაქსი-
მეს ძის ქოჩაქიძის (ქალადიდელის)
გვამს. ფოთში მას მოვლის დიდ-
ძალი საზოგადოება, როგორც აქა-
ურები, აგრეთვე ჩამოსულნიც. ფო-
თიდან მიცვალებული მწერლის
გვამს გაასვენებენ საგანგებო მა-
ტარებლით ახალ-სენაკში და იქი-
დან სოფ. ქალადიდში დასაკრძა-
ლავად. განსვენებულის გვამს მინს-
კიდან მოსდევს თავის ძმა თავადი
ალექსანდრე ქოჩაქიძე (ცნობილი
ვექილი).**
**— პროკიმინასის მოვლადისა.
ქალაქის თვით მართებლობა ფიქ-
რობს ქ. ფოთში კლასიკური პრო-
გიმნაზის დაარსებას. იმედი უნდა
ექიანით, რომ ჩვენი მხენ ნ. ნი-
კოლოძე ამასაც მალე გვაღირსებს.**
სან-დრო

*** * * მართლი. ჩინის ოსის
მთელს ქართლი დასაქუთია
ჩინაგან და ნანეტისავად ცოლი
რიან ჩარხთაგან, რომლებიც ს
გალთა ენა დასწერეს მისი
ან ხალხის მოსწონებულნი
ერთი ცნობილია ჩინის ო
ერთი ზემოქართლელი გლეხი
ვიდა აქაურსავე ცილინდრიან
რჩითან და სთხოვა ქუდ მოხდ
მა: „ბატონო. ერთი თუმანი ფუ
მქირდება, ღონეს ვერსად გავტ
მარბევენ, დამიხსენით ამ სირც
ლილგან. მასესხეთ ფული და გ
რაც თქვენი ნება იყოს, ის გ
კეთებინეთ ვალში და გინდ
დენსაც ბძანებს, იმდენს სარგებ
მოგართმევ ყოველს დანიშნ
დროზეო“.**

ასეთი თხოვნით, ჩარჩი ძალ
ნასიმოვნები დარჩა და რად
სარგებლის დანიშვნით ბევრს
რას გამოჩნებოდა მას, სხვა
რობა დაუდვა გლეხს და ამ ს
ყებით მიმართა: „ჩემდ ძმაო,
შენ ძალიან მიყვარხარ, რადგან
კარგი გამგონი და გამოსად
კაცი ხარ, მართალია აგლა ფუ
არა მაქვს, მაგრამ შენის ხათრ
საცა იქმნება, ჩვენ ქალებში
სესხ-მოვისესხებ და მოგიგრო
შენ-კი ნატარიუსს დაწვერინე
მანეთის ვექსილი და კიდევ პირ
ბა იმის შესახებ, რომ ამ ერო
თვის განმავლობაში შენივე სა
ბაშით ერთი საყენი შეშა მოს
და ჩამოიტანო სადგურამდე. რ
ცა შეშას ჩაიტან გაგანთავის
ლებ და იმ შენ ვექსილს და
რობას დაგიხვე“. (საყენის მო
და ჩატანა ჩამტანის საღბა
სადგურამდე ჯდება ოცი მანე
გლეხსაც მეტი ღონე არ ჰქონ
დარბევას და შერცხვენას ისე
რჩის წინადადების ასრულება არ
და მისცა პირობა და ვექსი
ნატარიუსის წესით. (ხარჯებ
თვითონ იკისრა) გლეხმა გამო
თვა ჩარჩს ერთი თუმანი და
გორც იქმნა სახელმწიფო გადა
ხალი მოიშორა, მაგრამ ახლა ს
მე ჩარჩის მოშორებაა!.. გავ
თვე ნახევარი, აუშკა ჩააბარა ხ
ნებული საყენი, მაგრამ რადგან
ერთი კვირა ვადა გაუვიდა, ა
გამო, მას ჩარჩმა ერთი საყენის
ტანა კიდევ გაამეორებინა, მეორ
ვალას გადასცა და ახლა მესამ
ჯარიმაში ჩაატანინა; ამასობ
დიდი ჯაფის გამო გლეხს ცა
კამეჩი მოუკვდა, დარჩა ცალ
მეჩის სამარათ. ახლა ისევ
უნდა აიღოს და შეასრულოს
რობა, თორემ ჩარჩი ცუცხლს
უქრობს. მიმართა კიდევ ცილი
დრიანს და გამოართვა ვალი, რ
მელიც ჩარჩმა ვალი იმ წესით
ერთი ათად დააწერა, ასე რ
დღეს გლეხს აწერა მისი ვა
ოთხასი მანეთი; მუშაობს და
ლავათ საწყალი გლეხი ჩარჩის
ვის და ენახოთ, როდის ან რ
გათავდება ყოველივე ეს.

მედავითვე სერო
*** * * ფოთი. გზათა მანასტრის
ჩამოსვლა. 18 მაისს ქ. ფოთ
ჩამობრძანდა გზათა უწყების მ
სტრი თავ. მ. ი. ხილკოვი. ნავ
სადგურში დიდძალი ხალხი და
და. ქალაქის მოურავმა ნ. ნიკ
ლამემ პურ-მაჩილი მმართვე
ხილკოვის რა**

ტიო მოქალაქეა. ბ-ნი მინისტრი გემიდან არ გადმობრძანებულა და გემშივე განიხილა რამდენიმე თხოვნა ქალაქის მოურავისა ნავთ-სადგურის გაუმჯობესების შესახებ. ბ-მა მინისტრმა აღუთქვა ქალაქის მოურავს მათი შესრულება.

ახალა ხადას გახსნა. 18 მაისს გახსნეს ფოთში ახალი ხიდი. ფოთელების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგანაც ამით ქალაქი შეუერთდა კუნძულს და ფილუქებით გასვლა-გამოსვლას ბოლო მოეწყო. ჯერ-ჯერობით ხიდი აშენებულია მხოლოდ ფენით მოსიარულეთათვის და ორი თვის შემდეგ ეტლებსაც გაუშვებენ.

სპირიტონ მანარაძე

*** აბაზა (სამეგრელო).** მკვლევარს შეეძინა სწორიანი. აქ, წმ. ზაქარიას ეკლესიაში, ათს მაისს კვირიკე ბრძინაში წაკითხულ იქმნა ჩვენი დაუფიქრებელი და ნეტარ ხსენებულ მწყემს მთავარ იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის მოძღვრება ცრუ-მორწმუნობაზედ. სახ. იოან. 9, 16. სხვათა შორის არის ნათქვამი, თუ რა არის შიგ ეკლესიაში მიცვალბულის დასაფლავება, ყველამ გაფაციცებით, სულ განაბულათ მოსმინეს, ნამეტურ მდაბო ხალხმა. შემდეგ ყველამ ერთობ მუხლ მოყრით მხურვალის გულით შეავდრეს მისი წმიდა სული უხენესა. მრავალს ცრემლები წასკდა, ისე აუჩუქდათ გული, რადგან ზედ გამოკრილია ამ ეკლესიაზედ ნეტარ ხსენებულის ეპისკოპოსი გაბრიელის სიტყვა. აქ შესაშვ მიცვალბულია. ამ ორი წლის განმავლობაში, დასაფლავეს წარჩინებულთა კაცთა, მდაბო ხალხთა წინააღმდეგ, რის გამო ამ ეკლესიას დღეს ხალხი გულ გრილათ შეჰყურებს, როდესაც ახლა ამ ეკლესიას წვიმა ატანს, ღებება კედლები, ფუქდება სხვა და სხვა ეკლესიის ნივთები, მღვდელი ამავ ეკლესიისა მამა იოანე კლიავე, შუამდგომლობს ხალხთა შორის, რჩევა დარიგებას აძლევს ხალხს, რათა შეაყეთონ ეკლესია, მაგრამ ხალხის ბრბო ერთ მეორის წინააღმდეგ იბრძვის, რადგან ჩვენი საბლოცველო, წმინდა ადგილი, ღვთის სახლი სასაფლაოთ გადაგვიტყვის და ჩვენ შიგ დგომას გვიშლიან. არ გავაკეთებთ არაო გაიძახიან, დიდ სამადლო საქმეს იწყებებს, ვისიც ჯერ არს ამ საქმეს კრადლებას მიაქცევდეს, სანამ მოლათ ჩამოვლებ-ჩამოინგრეოდეს.

ნიკოლოზ პერტენაძე

*** სობი (სამეგრელო).** მესარხის თავ-გასვლაზე. არა ერთხელ დაბეჭდილა „სობის ფურცელში“ და სხვა გაზეთებში აქაურ მებორჩის თავ-გასვლაზე, მაგრამ არ იქნა და ვერაფერი ეშველა ხალხის შეწუხებას ამისაგან. საქმე ის არის, რომ ეს ვაჭებთან იმდენს ახდევინებს მგზავრთ, რამდენსაც მისი ჯიბის გასქელება მოითხოვს. ამისთვის არ არის გადაჭრილი, თუ რაში რამდენი გადაახდევინოს. ეს თქვათ, დღეს დატვირთული ურმის თუ ომნიბუსის პატრონს 50 კაპ ახდევინებს, ხილ 60-80 კაპ. მოვლოდე. ვისაც ამ ბორანზე იქით-აქეთ გასვლა-გამოსვლა უნდა, იმას უეჭვე-

*** დ. სობი (სამეგრელო).** მესარხის თავ-გასვლაზე. არა ერთხელ დაბეჭდილა „სობის ფურცელში“ და სხვა გაზეთებში აქაურ მებორჩის თავ-გასვლაზე, მაგრამ არ იქნა და ვერაფერი ეშველა ხალხის შეწუხებას ამისაგან. საქმე ის არის, რომ ეს ვაჭებთან იმდენს ახდევინებს მგზავრთ, რამდენსაც მისი ჯიბის გასქელება მოითხოვს. ამისთვის არ არის გადაჭრილი, თუ რაში რამდენი გადაახდევინოს. ეს თქვათ, დღეს დატვირთული ურმის თუ ომნიბუსის პატრონს 50 კაპ ახდევინებს, ხილ 60-80 კაპ. მოვლოდე. ვისაც ამ ბორანზე იქით-აქეთ გასვლა-გამოსვლა უნდა, იმას უეჭვე-

ლად კაკალი მანეთიანი უნდა ჰქონდეს მზად და ხომ მოგვსენებათ, ეხლანდელი ჩვენი ხალხის სიღატაკე, მანეთის გადახდა მას რა ნაირად ავიწროებს მისს, უპასოვლად გაატაკებულ ცხოვრებას. იქნება ზოგიერთს კვირაში სამოთხვერ მოუხდეს გასვლა ამ ბორანზე და ამდენი შეძლება სად არის? მაგრამ ვინ არის ყურის მგდებელი? ნუ თუ ადგილობრივი პოლიცია, რომლის თვალწინ ასეთი ამბავი ხდება, ვერ დაუწყებს გადაჭრით ფასს, რაში რამდენი აიღოს მებორჩემ! დიდად სასურველია, რომ ადგილობრივმა პოლიციამ, რომელიც ამ მდინარის ნახევარის ვერსის ახლოს ცხოვრობს, ისეთი ფასი დაუწყოს მებორჩეს, როგორც სხვაგან არის და მით იხსნას ხალხი მებორჩის უწყალობის და უშვების სიტყვებისაგან, რაც ეს დღიური ამბავია ხოლმე.

ტელეფონი

*** ს. ანაბა (ქიზიყი).** ძამას მოკვლა. სოფ. ანაბის მცხოვრები ივანე ლომაშვილი, რომელიც კენქის ყრით ჯარის-კაცად იქმნა წყვანილი ლაოიის სათადარიგო ქვეით ჯარში, გამოკვეთულა იქიდან იმ აზრით, რომ შეღავათი მიეღო და განთავისუფლებულიყო სამხედრო სამსახურისაგან, დაუბრუნებია თავისი მამა, ლელაშვილი. ფიქრობენ, რომ ამ საშინელი დანაშაულის ჩამდენი სულიერი ავადმყოფია. („კავკ.“)

*** გუდაუთი.** შუამდგომლობა გუდაუთის „პოსტალის“ შესახებ. 1897 წ. გუდაუთელებმა შუამდგომლობა აღძრეს გუდაუთის „პოსტალად“ გადაკეთების შესახებ, რათა მსურველთ ჰქონოდათ შენობების ასაგებად ცარიელ ადგილების გაყიდვის უფლება, რომელიც მათ წარმეული აქვთ 1897 წლიდან. რადგან ეს შუამდგომლობა დღემდე შეუწყნარებელია და სასოფლო სამმართველო კი ამ ბოლო დროს მრავალ თხოვნას იღებს ადგილების ყიდვის შესახებ, ამის გამო გუდაუთელებმა ხელმოკრედ აღძრეს შუამდგომლობა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე გუდაუთის პოსტალად გადაკეთების დაქარბების შესახებ და ცარიელ გაყიდვაზე ნების დართვის შესახებ. („ნ. ო.“)

ნიკოლოზ პერტენაძე

რედაქციისგან

სტამბაში მთიულს თქვენი წერილი დაგიანებულა. **აბაზა** გრიგ. ჩ-ას. თქვენი კანონიერი სურვილი შევსრულეთ. **ბათოშვი.** ყარ. ნ-ძეს. თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდება. **ოგანაშვილი** სურათი მოვს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება, ჩვენ უკვე პირადად მივწერეთ აუტეის პატრონს.

მღვდ. თოთიბაის სიტყვა. მიმართული ვაისკოპოსის აღმსარებლისადმი.

„უმაღლესის ნების თანახმად, ამ დღიდან ყოველად, უსამღვდელოესო მეუფეო, მოგვეცად უფრო უდიდესი ადგილი სამღვდელოთა-

როდ. სწორედ მს. მღვდელმთავრის მას შემდეგ, რაც მწყემსთ-მთავრის ხარისში ჰპოვდნენ მშობელ ქართულ ეკლესიის სასარგებლოდ, და ამ ხნის განმავლობაში საქართველოს საეპისკოპოსოს სამწყემსო ისეთი ჩინებულები და ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგით, რომელსაც ვერ შეჰმუსრავს ვერავითარი ძალა მტრისა.

ქ. ტფილისის სამღვდელოება და სასულიერო უწყებაში მოსამსახურენი, რომელნიც უმახლოებლესნი მოწმენი იყვნენ თქვენის მწყემსთავრულის მოღვაწეობისა, გეთხოვებოდა რა დღეს, სიყვარულით მოაქცევდნენ ყურადღებასათვის მართლ-მადიდებელ მწყემსთა შორის თქვენსა ნათელსა და ბრწყინვალე სახესა ზედა. მთელი თქვენი ძალ-ღონე სიყრმიდგან მცოვანებადგე მონღომბული ჰქონდა მშობელს, ეკლესიას, რომელიც მხურვალედ გიყვარდათ. ხოლო ესა არც დროა და არც ადგილი ჩამოვთვალეთ ყოველი თქვენი მწყემს-მთავრული ღვაწლი ეკლესიისა და სამშობლოს სასარგებლოდ. მოვიხსენიებ მხოლოდ იმას რის მოწმენიცა ვართ ყველა აქ მყოფნი. მხურვალე მონაწილეობას იღებდით დაბადების ქართულს ენაზედ გამოცემის საქმეში, ღრმად იყავით რა დარწმუნებული, რომ ყოველი ქვეშაირტი საფუძველი კეთილის ზნეობისა ქრისტიანეს შეუძლიან შეითვისოს ამა, მუდმივ ცხოვრების წიგნიდგან. იცოდით რა, რომ დაბადების შემდეგ, ერის უმთავრესი მასწავლებელი მართლ-მადიდებელ-ქრისტიანებრივი ღვთის მსახურება, კეთილ კრძალულებითა და კეთილ წესიერად გარდახდული მშობლიურს ენაზედ, აქვენ ბევრი ზრუნვა-მეცადინეობა და ქონებრივი საშუალება შესწირეთ რათა ქართული საეკლესიო საგალობელთა სამშობლო ხმა არ დაკარგულიყო ერის ხსოვნაში, არამედ დასტამბულიყო და დაცული მოლად და შეუბლაღველად შემდეგთა მოღვაწეთათვის.

„გიყვარდით რა საეკლესიო მწიგნობრობა, ძველთა ქართულ საეკლესიო მწიგნობრობის სახსოვართა გამოცემით ძვირფასი განძი შესძინეთ ქართულს საეკლესიო ლიტერატურას.

„თქვენი რიღუნი არა მოჰკლებია ქართველ მართლ-მადიდებლობის ძველთა სახსოვართა-ტარებებსა და მონასტრებს, რომელნიც თქვენს მწყემს-მთავრულს ზრუნვასა ჰქონდა რწმუნებულნი. არა ნაკლები ყურადღება მიაქციეთ ახალის თაობის სასულიერო განათლებას, რისთვისაც ვაჭათა და ქალთა სასულიერო სასწავლებლებში სტიპენდიები დააარსეთ და დიდძალს ფულს სწირავდით. თქვენმა ამ გვარმა ზრუნვამ, რათა მოზარდი თაობა სარწმუნოებისა და ეკლესიის აზრისამებრ ყოფილიყო აღზრდილი, თავი იჩინა აფხაზეთშიაც. სადაც თქვენის მცირე სამღვდელოებით მთელს პანსიონს ინახავდით და თქვენვე მასწავლებლობდით ბავშვებს.

„ყოველ ამა გარეგანს განცხადებას თქვენის მწყემსთ-მთავრულის მოღვაწეობისას აცისკროვნებს თქვენი პირიგება, ღრმად განმსტკე-

ლული ქრისტიანობრივის ყოველ სათნო თვისებითა, რაცა ჩვენსა გულში აღორძინებს სიყვარულსა და ერთგულებასა თქვენდა მიმართ.

„ტფილისის სამღვდელოება და სასულიერო უწყებაში მოსამსახურენი, დიდად აფასებენ რა თქვენს სინაყუფიერესა, ხანგრძლივსა მწყემსთ-მთავრულს მოღვაწეობასა ეკლესიისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ, მოგილოცავენ, კეთილად მწყემსო, ახალს თანამდებობაზედ დანიშნვასა და ევედრებოდა უხენესსა, რათა მანქა, ყოველად მოწყალემ, არა მოგაკლოთ თვისი წყალობა მრავალსა და კვლავ მრავალს წელს გურია-სამეგრელოს ეპარქიაში თქვენის ახალ-მსახურის ასპარეზსა ზედა.

წარვედ, მეუფეო, ახალსა სამწყემსოში, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულითა და მოუთმენლობით მიგელის და რომელსაც დიდად და დიდად სჭირია შენი მამობრივი ზრუნვა, უანგარო მმართველად და თვით შენი თავიც, ვითარცა სხარების მოძღვრებათა აღმასრულებლისა. წარვედ ახალის ძალ-ღონითა და მხნეობით, ვინაიდან იქ საქალი ფრიად არს, ხოლო მუშაქნი ყოველად მცირე.

„ლოცვათა შინა ჩვენთა მოსაგონებლად და სახსოვრად მიიღეთ, თქვენო უსამღვდელოესობაო, ქ. ტფილისის სამღვდელოებისა და სასულიერო უწყებაში მყოფ მოსამსახურეთაგან ესე ხატი ივერიის ღვთის-მშობლისა, რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქმნება მფარველი თქვენი თქვენსა ყოველად ძნელსა მწყემსთ-მთავრულსა სამსახურსა შინა.“



სამეცნიერო ცნობა

ჩაიქლთა საზრდო. (შემდეგ)

იმ ქვეყნებში, რომლებიც წინა წერილში აღვნიშნეთ, ადამიანის სუფრაზე ვერსად ვერ ვხვდავთ ცრუ თუ ბევრად საკმაო საზრდოს. ერთ ადგილას ნაკლებად არის მცენარეობა, მეორეგან-კი ხორცეულობა. სულ სხვას ვხვდავთ აზიაში. ეს უზარმაზარი ხმელეთი საზოგადოდ წარმოადგენს ისეთ კუროთხულ ქვეყანას, რომელიც უხვად აწუდის თავის მცხოვრებთ, ყოველგვარ ჰაერის ნაწარმოებს. ეს ქვეყანა ბუდე ყოველგვარ სასარგებლო ცხოველისა და მცენარისა მცენარეთა შორის ადამიანისათვის განსაკუთრებით ზოგიერთთა მეტად სასარგებლო და ბარაქიანი. მაგალითად, არის ერთგვარი, ვერცთ წოდებული, საგის ბზა, რომელსაც ტანი მთლად სავსე აქვს მასაზრდოებელ ნივთიერებით, კრახმალით. სიმაღლით ეს ბზა სამ საყენადმდე იზრდება, ირგვლივ კი ორ არშინ ნახევრამდე; ამ ბზის დასამუშავებლად საქმარისია ორი მაკაისი, ან ორი დედაკაცის ხუთიოდე დღის მუშაობა და ნამუშევართ კი ერთ კაცს მთელ წელიწადს შეუძლია თავი შეინახოს. აზიაში ბლომად აქვთ აგრეთვე სხვა და სხვა გვარი პურის მცენარე. განსაკუთრებით ბრინჯი. მცენარულ საზრდოს უფრო სა-

მხრეთ აზიაში ხმაობენ მხოლოდ ისიც უნდა ვთქვათ, რომ კინოის მშვიდობიანი და შრომის მოყვარე მცხოვრები, თუმცა სამხრეთელია, რაც უნდა იქნას მისი მშვიდობიანი არ კმარებს შრომის მოყვარულსა ზრდოს; ის ნაგებობა მშენებელსა ყველაფრის მკამელია, მას ძალიან უყვარს ღორის ხორცი, ამასთანა არც ვირობებს დაგიუნებს, არც მაიმუნებს და არც სხვა ამ გვარ ცხოველებს.

ჩრდილო აზიაში უმთავრეს საზრდოს შეადგენს ხორცეულობა, განსაკუთრებით კი ზღვის ძაღლისა და ვეშაპის ხორცი, თევზეულობა აგრეთვე ქვირითი და სხ. მცენარეობაში აქ საზრდოდ იხმარება ფესვები, რამდენიმე ნაირი ხილი, ხან-და-ხან კიდევ არყის ხისა და ბიის ნედლი ქერქი და დასასრულ ერთგვარი შხამიანი სოკო, რომლისაგან დასაძინებელ სასმელს ამზადებენ.

აზიის ის კუთხეები, რომლებიც აქ აღვნიშნეთ, დასახლებულია ყვეთელი გვარტომით და წარმოადგენს მთელი აზიის სამ მეოთხედ ნაწილს მაგრამ გარდა ყვეთელ გვარტომისა, აზიაში, როგორც ზემოდაც ვთქვით, ცხოვრობს აგრეთვე თეთრი გვარტომი, რომელსაც დაქვრილი აქვს ამ ქვეყნის დანარჩენი მეოთხედი ნაწილი. სახელდობრ კი ამ გვარტომით დასახლებულია სამხრეთ-დასავლეთი აზია, ე. ი. ის კუთხე აზიისა, რომელიც ევროპის მოსაზღვრეა. ამიტომაც თეთრი ხალხი აზიაში თითქმის იმავე საზრდოთი ირჩენს თავს, რითაც ევროპელები. ისიც თითქმის ყველა იმ ცხოველებსა და მცენარეებსა შენებს, რომლებსაც ევროპელები აშენებენ. ეჭვი არ არის, რომ ევროპის მცენარეობა და ცხოველები გადმოგვარებულნი არიან აზიიდან. აზიის თეთრი ხალხი უმთავრესად მიწის მუშაობას მისდევს და მიმავრებულია თავის მიწაზე.

ასეთი მდიდარი და მრავალ ფეროვანია აზიის ბუნება. ეჭვი არ არის, რომ ეს ქვეყანა უნდა ჩაითვალოს კაცობრიობის აყენად. დედაქმნის ამ ნაწილში ყოველთვის ცხოვრობდა უმეტესი ნაწილი კაცობრიობისა, (ახლაც კიოვე აქ სცხოვრობენ ადამიანთა უმთავრესი ტიპები) და აქ იქმნა დაფუძნებული ზოგიერთი უძველესი განვითარებული საზოგადოება, — მაგალ. ინდოელებისა, ჩინელებისა, ასირიელებისა, სპარსელებისა და სხ. საზოგადოებანი. ეჭვი არ არის, რომ ამ პირველყოფილ საზოგადოებებს არ მიუღიათ ფართო განათლება, მაგრამ მათ მაინც მრავალი, ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნა შეიძინეს და შემდეგ, როცა დასავლეთისაკენ დაიწყეს გადასახლება — გავრცელება, მაშინ თან გადაიტანეს და გავრცელეს თავიანთი ცოდნაც, და ამით კი დიდად დაეხმარნენ ევროპიელ ტომებს და მიახწვიეს მათ დღევანდელ განათლებას.

საზრდო საზრდო.

ჩვენ შეგვიძლია შეუმცდარად ვთქვათ, რომ რაც უფრო ვუახლოვდებით აზიას, მით უფრო მრავლად ვხვდებით მცენარეობას და ცხოველებს, სწორედ რაც უფ-

რო ვმორღებთ მას, მით უფრო ნაკლებად გვხვდება ერთი და მეორეც. ამაში კიდევ უფრო დღე-ღამეობით, თუ განვიხილოთ აფრიკელთა საზრდოს. მართლაც, უმეტეს ნაწილს ცხოველები-სას და მცენარეებისას ჩვენ ვხედავთ აფრიკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთში, —სახელდობრ მის იმ ნაწილში, სადა ეს ქვეყანა აზიას უახლოვდება. აქ მრავალია ისეთი ცხოველი და მცენარე, რომელსაც ვხედავთ აზიაში და აგრეთვე ევროპაში. ექვი არ არის, რომ ეს მცენარეები და ცხოველები აქ ზოგიდან არიან გადმოგვარებულნი.

ყველაზე უფრო გავრცელებული პურის მცენარე, რომელსაც აქვე უნდა ჰქონდეს სამშობლო, არის ერთგვარი სხვილ-მარცვლიანი ფეტვი, რომლითაც საზრდობს სამი მეოთხედი ნაწილი მთელი აფრიკის მცხოვრებლებისა. საზოგადოდ აფრიკა საკმაოდ მდიდარია მცენარეებით. მაგრამ აქ განსაკუთრებით საუცხოვოა მცენარეობა იმ ადგილებში, სადაც ბლომად არის მდინარეები. ამ ადგილებში ისეთი ნოყიერია ნიადაგი, რომ სულ მცირეოდენი შრომა-ც კი გადაჭარბებით იძლევა ნაყოფს; ამის გამო ასეთი დალოცვილი კუთხეები ძალიან სქლად არის დასახლებული.

აფრიკელები საკმაოდ მდიდარნი არიან ცხოველებითაც; მათ ჰყავთ მრავალი შინაური ცხოველი; გარდა ამისა, სხვა და სხვა ადგილას აქ ნახავთ სულ სხვა და სხვა გვარ ცხოველებს. აქ ზოგან ცხენია გავრცელებული, ზოგან ცხენი და ხარი, ზოგან აქლემი და სხ. ქათამი კი თითქმის ყველგან შეგხვდებათ. ამასთანავე მთელ აფრიკაში ძალიან ხელ-საყრელია მცხოვრებთათვის ნადირობა იმის მეოხებით, რომ გარეული ცხოველებით აფრიკა, განსაკუთრებით მისი სამხრეთი და შუა ნაწილი, ძლიერ მდიდარია. მეთევზეობასაც აქ ყველგან დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება ძალს, რომელიც გავრცელებულია თითქმის მთელ აფრიკაში, მას ამ ქვეყანაში არსად ხმარობენ საქმელად.

საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ აფრიკაში ადამიანი გვარიანად სცხოვრობს. აქ შეტად შევიწროებული აქვს ცხოვრება მხოლოდ ერთს, ყოვლად განუვითარებელ ტომს, სახელდობრ — ბუშმენებს, რომლებსაც სრულებით არა გავგებათ-რა არც მიწის მუშაობისა, არც ცხოველების მოშენებისა და რომელიც ამის გამო იძულებულინი არიან თავი ირჩინონ ფესვებით, კალით და ქიანჭველას კვერცხებით. გარდა ამისა, ვერაფერი სახარბიელოა კიდევ გლტენტოტების ცხოვრება, რომლებმაც აგრეთვე არ იციან მიწის მუშაობა და რომლებსაც საკმაოდ არა ჰყავთ შინაური პირუტყვი.

სამეყრნეა ცნობანი

განმარტება საჭირო. მხოლოდ რედაქტორს უმორჩილესად ვთხოვთ ამ

შაქის წყრილს ჩემის და სხვა მრავალთა საცნობად ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთში და უმორჩილესად დაუკითხო ჩვენს ცნობილს ანგეშუმის ჭიან მცოდნეს ბ-ნს -ნ. მკურნალს და სხვათა, რომელთაც იცანს, ანგეშუმის ჭიან თესლიდან თავიდან გამოდის, თუ კუდიდან? ამისი კითხვა ჩვენმა მკურნალებმა ქალბებმა მომცეს, მაგრამ ჩვენ, რადგანაც იმდენი პრაქტიკა არ გვქონდა ამის შესახებ, ამიტომ მას-უხი მათთვის არ მიმიცია, ვიდრე გამოცდილი კაცებისაგან ნამდვილს და უტყუარს ცნობებს არ მივიღებთ. ხოლო ჩვენი მკურნალებმა ქალბები იმას ამბობენ ზოგნი, ვითომ ჭიან თესლიდან თავით გამოდის, ზოგნი კი კუდიდან გამოდის. აღარ ვიცი, როგორც შე აგრეთვე სხვა მრავალთა, რომელი ერთი დავიჯეროთ, იმედია მას-უხს მალე მოგვცემენ.

ტრიფონ გალანდარიშვილი

ყურმოკრული საუბარი

— ადვოკატთან. — შემიძლია თუ არა ვისარგებლო თქვენი რჩევით ერთი ფრად სჯიარა საქმის შესახებ?
— როგორ არა, როგორ არა!
— შე გადასწავლეთ მაქვს მხოლოდ ერთი კითხვა, — ეს სამი ფუფულად შეიძლება?
— დახ, კითხვა უფასოდ შეიძლება, მაგრამ მას-უხისათვის კი ფულა სჯიარა.

სხვადასხვა ამბავი

ცოცხლივ შემურვილი ადამიანი. შარაის გაზეთებში ამ ბოლოს დროს ბევრს სწავდნენ ერთ ზარიყელზე, რომელიც უკვე დამარხეს, მაგრამ შემდეგ ისევ ამოიღეს მიწიდან, რადგან ერთმა დამსწრეთაგანმა განაცხადა, ამ მიწაზე დასაფლავდა რბილი სხეული და ვარდისფერი ღოგები აქვსო. შევადრე დიდხანს იყო დასვენებული საჯაროში, იგი არ გაცნობდა, მაგრამ არც გაიხსენს. ეს მიწაზე დასაფლავებული სიცოცხლეში მტის-მტეი ღოგა კაცი იყო. იგი მთლად გაუქნითელი იყო კანაკით, არა-ერთ და სხვა შავი სისმქელი და ცოცხლივ შემურვილი იყო, უბედური არც ცოცხალი იყო, არც მკვდარი და ასეთ მდგომარეობაში დიდხანს ელადებოდა დასვენებებს. დოქტორი გონხალი აღნიშნავს, რომ ალკოგოლით ადამიანის სხეულის გაქნთვა მაკარს სისმქელის ბურთ სმისგან არ არის იშვიათი მოვლენა.

განსჯალებანი

დაბოჭდა და ისეიდა დასაქართველოს ყველა წიგნის მალხიებში
რამდენიმე ლექსი
ბიკოსი
ფასა ერთა შურა.
ვინც არა ნაკლებ ოც ცალს იყიდის, მას დავთობა მანეთზე 30 პროცენტი.
უშთავრესი საწყობი თბილისში, იოსებ იმედაშვილის წიგნის მალხიებში.
ადრესი: თიფლისი, გეორგიევსკაია ულ., კნიჟ. მაგაზინი I. 3. იმედაშვილი.

ქართულთა ამხანაგობის გამოცემანი

ისკიდება საკუთარ კოსკში, ქაშეთის ეკლესიის პირდაპირ, ბალის უნქულში	
თხზულებანი ა. ვახუშტის (მონაწილის) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი მშენებლის ქალაქზე და მშენებლისვე უდიო (თითო)	2—50
თხზულებანი ი. დავითაშვილის სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილით	—80
იგივე მშენებლის უდიო	1—25
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილის, ლეკვლად-პოემა ბახანსის	25
საღვთისმეტყველო I ნაწილი	—30
ღმისი კარგს ქალაქზე, მშენებლის უდიო	2—50
იგივე ტომი III	1—
იგივე ტომი IV, აზა, ორი წიგნი	1—60
იგივე კარგს ქალაქზე მშენებლის უდიო	3—
ჩანგი	1—
სოფლის კუნწულა, დ. მახხახელის	0—20
თხზულებანი აკაკის, ტომი I	1—
იგივე კარგს ქალაქზე მშენებლის უდიო	2—50
იგივე ტომი II	1—
იგივე კარგს ქალაქზე მშენებლის უდიო	2—50
არაკები, სხვა ორბული წიგნი, ბავშვებისთვის	—57
სიბრძნე-სიბრძნე, მისივე	—57
იგივე კარგს ქალაქზე	1—50
სამხანაგო ქართული ევროპული სჯიყელების	1—50
თხზულებანი რ. ერისთავის, ტომი I, სურათით	1—
იგივე-არაგნი, მისივე	—20
ღვინის დაქუება, შრომისთვის გ. ზეტრაშვილის	2—50
აღ-მამად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ვახ-ძე წამბაკურიან-ორბულიანის	—25
საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, გ. ზორტაძის	—40
მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონაგრაფია ნ. ურბელიანის	—50
ივენო, რომანი ვალტერ სკოტისა	1—
ცეცხლითა და მხვილითა, რომანი გ. სენევიჩის	1—50
დასტურ-ღამა თხზულებანი ნიკოლოზ დადიანისა	—25
გაბრიელ კუბისკისი იმერეთისა, სურათით	—30
სიბრძნე ბალავარისა	—30
(100—74)	

!!ერ იღეთ, არ მოსტყუდეთ!!
კიბიბეზრი
ბორბ-ტომოქულის საზონა
გ. ფ. იურბენისა
აქრობს ჭორღს, სიციხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მკამლასა და მექუტებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვერჩეთ, როგორც კეთილ-სუნუნელოვანი და მაღალი ხარისხისა, ეს საპონი იმპარონ.
აქტრას შედგა 1898 წ.
ფასი თითო ნაქერისა 50 კაპ., 1/2 ნაქერი 30 კაპ.
ისეიდაება ვეჯა საუკეთესო საფეთქო მალხაიებისა და აფთაქებში
პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურბენისის მოსკოვში აქვს, დღე ტფილისში ავტო 3 ვთან კავკასიაში საავტოპო ნივთები თმოგა, ჭრე ამხანაგობასთან, წურინო ჭან, გრინიკთან, მმ. პოპოვებთან და არისტოკრატთან. (24—22)

ახლად გახსნილი ს ტ ა მ ბ ს „ცნობის ფურცლის“

ტფილისი, სსსხლის ქ., სთავად-ახანურ ქარვასლაში №119, 120 და 121
სტამბა ყოველსტრიოთ საესე და მოწყობილია
ყოველ-გვარა საქმე სრულდება სწრაფად, სუფთად და აწყად.
სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას; მსრველნი მიმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერებს, აწყობას, დაბეჭდვას, ქალაქის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდნ ნება-რთვის აღებას და სხ.
ჰბეჭდავს საფიზიკო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქალაქზე ვაჭების და ქალებისათვის აწყად და მხოაახად.

ВО ВНОВЬ ОТКРЫТОЙ
ТИПОГРАФИИ
„Цнобисъ иурицели“
(В. Л. Гуниа)
Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.
Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европейскихъ языкахъ
Дешевизна, изящество и быстрота исполненія.

КУРСЪ БУХГАЛТЕРИИ,
состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:
1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговоипромышленности,
2) Коммерческой ариѳметики (банковья и торговья операціи),
3) Ариѳметики на счетахъ.
4) Коммерческой экономіи,
5) Торговыхъ и вексельныхъ узаконеній—
реподаеть И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕ ННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел. хоз. кредита и препод. школы садоводства.

Плата за весь курсъ 60 руб.
Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій — 1-е число каждаго мѣсяца
Аттестаты за успѣшныя занятія отъ реального училища и школы садоводства.
Составленая И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерчес арикариѳтика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ 2) монетныя вычисленія, 3)товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговья товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи 20(3) ачъ и таблицы). Цѣна 2 рубъ **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и двора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**
(100—10)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на
новое роскошное художественное
изданіе **В. И. БУЛГАНОВА**
ВЕНЕРА и АПОЛЛОНЪ
въ живописи и скульптурѣ.
(Два истонныхъ идеала красаты женской и мужской).
40 фотофравуръ in-folio
Съ наилучшихъ произведеній 35 знаменитѣйшихъ художниковъ идеальныхъ школъ греческаго искусства и эпохи возрожденія, изъ европейскихъ музеевъ (съ пояснительными описаніями произведеній и біографіями ихъ авторовъ)
въ восьми выпускахъ.
Первый выпускъ выйдеть 15 мая 1898 г., а остальные семь въ теченіе четырёхъ слѣдующихъ мѣсяцевъ по два выпуска ежемѣсячно—1-го и 15 числа
Цѣна только по подпискѣ 16 р., съ пересылкой—20 р.
Подписка принимается только на 300 экземпляровъ во редакціи «Новаго журнала Иностранной Литературы» (С.-Петербургъ, Конногвардейскій бульваръ; 13) и въ книжномъ магазинѣ «Новаго Времени», (С.-Петербургъ, Невскій, 38).
Допускается разсрочка: при подпискѣ уплачивается 2 р. и при полученіи каждаго выпуска по 2 р. (последній—8-й—выпускъ безплатно). Иногородніи уплачивая при подпискѣ 5 р. и при полученіи каждаго изъ первыхъ шести выпусковъ по 2 р. 50 к. и по 10 к. за положенный платежъ (седьмой и восьмой выпуски безплатно);—благоволять адресоваться къ **Ф. И. Булганову** (СПБ. Конногвардейскій бульваръ, 13).
Отдѣльно выпуски не продаются. (15—16)